572
1981

ISSN 0132-5965

ეროვნული ბიბლიოთეკა

1981 სექტემბერი №9

# დილა



# სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!



ანვლო ნებიერმა ზაფხულმა! დაიწყო ახალი სასწავლო წელი და ჩვენი რესპუბლიკის 3652 სკოლას ერთნაირი მღელვარებით მიაშურეს მზით გარუჯულმა, თვალხატულა გოგონებმა და ვაჟებმა. ამ ყველასათვის ერთნაირი მღელვარების მიზეზი კი თანატოლებთან, აღმზრდელებთან შეხვედრის მოლოდინი გახლავთ... ესეც არ იყოს, ახლა ხომ თითოეული თქვენგანისათვის თქვენი ბიოგრაფიის ახალი წელი იწყება.

ჟურნალ „დილის" მკითხველებს წინ ჯერ კიდევ მრავალი წელი გაქვთ და მრავალი რამ უნდა ისწავლოთ. ამისთვის ჩვენგანაც ბევრი ყურადღება გჭირდებათ, და ჩვენც ვცდილობთ, ხელი შეგიწყოთ.

წელს ყოველ თქვენგანს ყველა საგანში ექნება ახალი სახელმძღვანელო, რომელთა უმეტესობა ფერადი ნახატებითაა გაფორმებული.

წელს მშენებლებმა 68 ახალი სკოლა კიდევ ააშენეს საქართველოს ბავშვებისათვის.

შეკეთებულია ძველი შენობები, მოწესრიგებულია დგამ-ავეჯი, მომარაგებულია სასწავლო ნივთები...

ერთი სიტყვით, ყველა პირობა გაქვთ შექმნილი კარგი სწავლისათვის. დანარჩენი თქვენზეა.

სულ პატარებს, ვინც ახლა გახდით მოწაფეები, იმედია, შეგიყვარდებათ სკოლა, ბეჯითად ისწავლით და სასწავლო წლის ბოლოსათვის უკვე კარგად გავარჯიშებული იქნებით წერა-კითხვასა და ანგარიშში.

უფრო დიდები კიდევ ერთხელ დაფიქრდით, როგორი იყო გასული წელი თქვენთვის, რისი დაძლევა შეიძლებოდა, მეტი მონდომება რომ გამოგეჩინათ? იქნებ უფრო გულისხმიერი უნდა ყოფილიყავით ამხანაგების მიმართაც. იქნებ ჯობდა რამე საქმის მოთავე გამხდარიყავით, იქნებ მეტი წიგნები უნდა წაგეკითხათ! ასეთი დაფიქრება უსათუოდ დიდ სარგებლობას მოგიტანთ... გვჯერა თქვენი წარმატებებისა და ახალ სასწავლო წელს გილოცავთ, ჩვენო კარგო პატარებო!

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მანანა კობახიძე**



## ამას ვნატრობდი

**ირაკლი აბაშიძე**

დღედაღამ ამას ვნატრობდი,—
ჩქარა გამიღეთ კარები,
მეც მოწაფე ვარ; სკოლისკენ
პირველად მივეჩქარები.
შენ სად მოდიხარ, მურიავ!
როდემდის გტუქსო, როდემდის?
ის დრო წავიდა, გეთაყვა,
ყველგან რომ უკან მომდევდი.
სექტემბრის დილა გათენდა,
ბალღებს უხმობენ სკოლები;
მერხებთან ჩარიგებულნი
მელიან ჩემი ტოლები.
ზოგი რამ ცოდნაც მიმყვება,—
ჩემი დედიკოს წყალობა:
თვლაც კარგად ვიცი, ანბანიც,
ცოტა ხატვაც და გალობაც.
ხელს არ ვითხუპნი პასტითა,
თავს მირჩევნია წიგნები;
სკოლისკენ მიმეჩქარება...
სულ ხუთოსანი ვიქნები.

## სკოლისაკენ

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

გაიხარეს
მთებმა,
ზვრებმა
ლურჯად გადაჩითულებმა.
მოგვახარეს სექტემბერი
ენატკბილმა ჩიტუნებმა.
წიგნი—
კურდღელს,
ციყვსაც—
წიგნი,
დიდი ჩანთა დათუნიას,
მზადებაა,
ყველა ჩქარობს,
ყველა
საქმით გართულია.
სექტემბერმა უთენია
გაუცინა ღია სარკმელს,
კოდალა კი უკაკუნებს—
სკოლისაკენ,
სკოლისაკენ!..

16.764

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მფრინავი და უფლისწული

ამ მოთხრობამ „დილის" კონკურსზე პრემია დაიმსახურა

ვახტანგ გოგოლაშვილი

იყო და არა იყო რა. ცხრა მთასა და ცხრა ზღვას გადაღმა იყო და დღესაც არის ერთი მშვენიერი ქვეყანა, რომელსაც საფრანგეთი ჰქვია.

ჰოდა, სწორედ საფრანგეთში ცხოვრობდა ერთი კაცი — ანტუან დე სენტ ეგზიუპერი.

გამთენიისას წამოწვებოდა ხოლმე წერით დაქანცული ძია ანტუანი და მიაჩერდებოდა ვარდისფრად შეღებილ ცას. ცა ყველგან ცაა, საქართველოშიც და საფრანგეთშიც. როგორც ჩვენთან, იქაც ჟიკჟიკებდნენ ვარსკვლავები, რიჟრაჟზე ნელ-ნელა ფერმკრთალდებოდნენ და ქრებოდნენ...

ნეტავ სად მიდიან ვარსკვლავები, — ფიქრობდა ძია ანტუანი, — იქნებ მთელი ღამის უძილონი დილით ღრუბლებისაგან აშენებულ სახლს აფარებენ თავს და შეღამებამდე გულიანად სძინავთო. ერთხელ ისიც კი იფიქრა, იქნებ ვარსკვლავები დედამიწაზე ჩამოდიან, ოკეანის ტალღებში ლივლივებენ და გრილდებიან, ან იქნებ უღრან ტყეს აფარებენ თავს და მწვანე ფოთლების შრიალში თვლემენო. ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, გადაწყვიტა, თვითონვე გაფრენილიყო რომელიმე ვარსკვლავზე.

გავიდა ტყეში, ერთი ხმელი მუხა მოჭრა და თვითმფრინავის გაკეთებას შეუდგა. ხმელი ხე იმიტომ შეარჩია, რომ კეთილი კაცი იყო და ნედლი ხე მოსაჭრელად ვერ გაიმეტა.

კარგა ხანს იწვალა და როცა ყველაფერი



მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი

მზად იყო, ჩაჯდა თვითმფრინავში და გაფრინდა. იცით საით?

გამთენიისას აღმოსავლეთისაკენ რომ გაიხედოთ, ერთ ვარსკვლავს შეამჩნევთ; მოცისფროა და ნაზ ვარდისფერ სხივებს აფრქვევს. აი, იმ ვარსკვლავისკენ გაფრინდა ძია ანტუანი.

თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა. ჯერ იყო და კუდიანი ქარი შეეჩეხა. ფიფქივით აბზრიალდა ჰაერში თვითმფრინავი. მაგრამ ძია ანტუანისთვის რა უნდა დაეკლო — დაეჯახა ფართო მკერდზე და ქარაშოტი პატარა ნიავივით გაიპარა; მერე შავ ღრუბელს გადაეყარა, მაგრამ ძია ანტუანმა მკლავი ღონივრად მოიქნია და ბნელი ღრუბელი გაიფანტა — ლურჯი ცაც გამოჩნდა, ცისფერი ვარსკვლავიც და შორს დარჩენილი დედამიწაც.

ბოლოს დედამიწაზე გამოთლილმა მუხის თვითმფრინავმა ვარსკვლავს მიაღწია, მოზრდილი მდელო აირჩია და მსუბუქად გასრიალდა ამწვანებულ ზედაპირზე.

ანტუანი თვითმფრინავიდან გადმოხტა და ირგვლივ მიმოიხედა. ვეებერთელა გაშლილ მინდორზე მუხლამდე მწვანე ბალახი ღაღანებდა. ბალახში ნაზად ლივლივებდნენ წითელი ყაყაჩოები და გულყვითელა გვირილები.



— გამარჯობა ძია!

თვითმფრინავის კუდთან პატარა ბიჭუნა იდგა. მხრებზე ვარსკვლავებით მოჩითული მოსასხამი ეხურა. თავზე წითელი ვარდების გვირგვინი ედგა. ფეხზე გვირილის თეთრი ფურცლებით შეკრული ჭვინტიანი წაღები ეცვა. ხუჭუჭა წაბლისფერი თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ძალიან ფერმკრთალი სახე ჰქონდა და დიდი ცისფერი თვალები.

— გაგიმარჯოს!

— მიცანი, ძია ანტუან? მე უფლისწული ვარ. ეს ცისფერი ვარსკვლავი კი ჩემი სამფლობელოა. კეთილი იყოს შენი მობრძანება.

პატარა ბიჭუნამ დიდი კაცივით დინჯად გაუწოდა ერთი ბეწვა ხელი და ანტუანმაც ჩამოართვა.

— რა კარგია, რომ ჩამოხვედი! მე და ჩემი იადონები რა ხანია გელით. წუხელ მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამე არ გვიძინია. იადონებმა ბარტყები დაჩეკეს და გვეშინოდა. მეზობელ ვარსკვლავზე ბოროტი ქორი ცხოვრობს. შარშან გაზაფხულზე ბარტყები შეგვიჭამა. ახლა აღარ მეშინია. შენ ხომ ღონიერი ხარ?!

— ჰო, ქორს როგორმე მოვუვლი. — დაამშვიდა ანტუანმა. — მაგრამ სად არიან შენი იადონები?

— ჭიკ-ჭიკ, აქა ვართ, — მაღალი ბალახიდან თავი ამოყვეს პატარა ყვითელმა იადონებმა, რომლებიც ორ ბარტყს გადაფარებოდნენ.

ძია ანტუანმა ჩაიჩოქა და პირდაღებულ ღლაპებს ნაზად გადაუსვა თავისი დიდი ხელი.

—ჰო, ქორს არ შევაჭმევინებ ამ პატარებს, — ამოიოხრა ნაღვლიანად. — მაგრამ



ასე ბალახში ჩაყრილები როგორ გაძლებენ! — პატარა სახლი უნდათ, ხის კედლებითა და იატაკით. მაშინ ვერც ქორი შეაშინებთ და ვერც ქარ-ყინვა.

— მერე სად არის ჩვენთან ხე? — შეწუხდა უფლისწული. — ყველაზე მაღალი მცენარე ჩემს ვარსკვლავზე ვარდია. და ვარდის ბუჩქს ხომ მოსაჭრელად მაინც ვერ გავიმეტებთ.

ძია ანტუანი დაფიქრდა და ხელი ჩაიქნია:

— რაც იქნება, იქნეს. მოდი, ჩემი თვითმფრინავის კუდისაგან გავაკეთოთ სახლი. იქნებ უკუდოდაც მივაღწიო როგორმე დედამიწამდე.

დატრიალდნენ ანტუანი და უფლისწული. თვითმფრინავს კუდი მოაძვრეს, რამდენიმე ლურსმანიც მიაყოლეს, ცოტა ხანს აკაკუნეს და მშვენიერი პატარა სახლი გამართეს. ხმელი ისლისაგან აივანიც მოუწნეს. სახურავზე ბუერის ფართო ფოთლები დააფინეს და შიგ იადონების ოჯახი შეასახლეს.

●

...ერთხანს ბალღებივით ირბინეს, ილალეს, მერე მოზრდილ ნაკადულს მიადგნენ. სახე ცივი წყლით გაიგრილეს და დასასვენებლად წამოწვნენ.

— ამ ვარსკვლავზე მარტოკა ცხოვრობ?

უფლისწულმა მოიწყინა:

— ნაკადულს გაღმა გრძელყურა კურდღელი ცხოვრობს. ისეთი ღუნღულა ნაცრისფერი ბეწვი აქვს, ხელის გადასმა მოგინდება. თუმცა მე არასოდეს არ გადამისვამს მის ბეწვზე ხელი.

— რატომ?

— აკი გითხარი, გალმა ცხოვრობს-მეთქი. მე იქით ვერ გადავდივარ და ის აქეთ ვერ გადმოდის.

— გინდა გადავალ და გადმოვიყვან?

— არა, ძია ანტუან, მე კეთილი უფლისწული ვარ. მარტო ჩემს სიამოვნებაზე ხომ არ ვიფიქრებ. კურდღელი თავის ეზო-კუთხესაა შეჩვეული. საკუთარ სამშობლოს მოწყვეტილი ვერავინ ბედნიერი ვერ იქნება.

— ეგ სწორია, — ფიქრიანად დაიქნია თავი ანტუანმა. — იქნებ ხიდი აგვეშენებინა, ჰა? როცა მოისურვებდი, შენ გადაბრძანდებოდი იქით მხარეს და ხელს გადაუსვამდი ლუნლულა ბეწვზე. როცა კურდღელი ინებებდა, თვითონ გეწვეოდა.

— მერე რით ავაშენოთ ხიდი? — დაღონებით თქვა უფლისწულმა.

ანტუანმა ერთხანს იყუჩა. ბოლოს ხელი ჩაიქნია და თქვა: — რაც იქნება, იქნეს! ჩემი თვითმფრინავის ცალი ფრთა გავდოთ ხიდად. გამძლეც არის და ფართოც. არა უშავს, იქნებ ერთი ფრთითაც მივაღწიო დედამიწამდე.

ბევრიც აღარ უფიქრიათ — თვითმფრინავს ცალი ფრთა მოხსნეს. ანტუანმა ღონიერ მხარზე გაიდო მუხის გამომშრალი ფიცარი და ნაკადულის პირას მიიტანა, ტალღებზე გადო, ვარდის ბუჩქის ხმელი ლერწნებით სახელურებიც გაუკეთა, სახელურებზე კი კორჩიოტების ლამაზი ყვავილწნული მოაყოლა. ისეთი ხიდი გამოვიდა, რომ გალმა ბალახებში ჩამალულმა კურდღელმა დიდხანს ვერ მოითმინა, გამოცუნცულდა, ყურების წკაპუნით მიუახლოვდა ძია ანტუანს და თავი დაუკრა:

— დიდი მადლობელი, ბატონო ჩემო.

კარგა ხანს იკოტრიალეს მწვანე მინდორში. მერე უფლისწულმა კურდღელი გვერდზე მოისვა და დიდხანს უალერსებდა ლუნლულა ზურგზე.

მზე გადაიხარა, გადაიხარა და ჰორიზონტს მიეფარა. კურდღელი მეგობრებს გამოემშვიდობა, კიდევ ერთხელ გაანწკაპუნა გრძელი ყურები და ხიდი გადაირბინა. ალიონებმა ბარტყებს თბილი ფრთები გადააფარეს და მშვიდად დაიძინეს ახალ ბინაში.

— ჩვენი დაძინების დროც არის. — თქვა უფლისწულმა.

— მერე სად დავიძინოთ?

— აგერ, მინდორში. თუ გინდა, ჩემი მოსასხამი დაიხურე, მე მიჩვეული ვარ, არა მცივა.

კეთილი ანტუანი უფლისწულს ერთად-ერთ მოსასხამს როგორ გამოართმევდა? თავზე ალერსიანად გადაუსვა ხელი და მდელოზე მიწვა. უფლისწულმა მის გვერდით მოიკალათა.

სძინავს ანტუანს და ესიზმრება... აბა, რა დაესიზმრებოდა დედამიწას მოცილებულ ადამიანს. დიახ, სწორედ მიწა დაესიზმრა. ვითომ საფრანგეთში ბაღში წევს, ვარდები გაცოცხლებულან, მის ირგვლივ ფერხულს უვლიან, სახეზე ნაზი ფურცლებით ეალერსებიან. ფურცლები კი ნამით სველია და ანტუანსაც უსველდება გაუპარსავი ლოყები, თეთრი პერანგი.

გაიღვიძა და რას ხედავს — წვიმს, და როგორ წვიმს!

ანტუანი ვაჟკაცი იყო, მოგზაურობის მოყვარული. ტყეშიც სძინებია და ღრეშიც. თოვლშიც უვლია და წვიმაშიც. აბა, ეს წვიმა რას შეაშინებდა. მაგრამ დაინახა, რომ პატარა უფლისწულს თავისი პატარა, ვარსკვლავებით მოჩითული მოსასხამი მისთვის გადაუფარებია, თვითონ იქვე ჩამომჯდარა და ერთიანად გალუმპული კანკალებს.

ძია ანტუანს წუთითაც აღარ უფიქრია. წამოხტა, დედამიწიდან წამოღებულ ჩაქუჩს ხელი წამოუსვა, მიადგა თავის თვითმფრინავს, ერთ წუთში დაშალა და მშვენიერი პატარა ქოხი წამოჭიმა. ის კი არა, ორი ტახტიც გამართა, ერთი, მოზრდილი — თავისთვის, მეორე კი, უფრო პატარა — უფლისწულისათვის. შევიდნენ ქოხში და გულიანად იძინეს დილამდე.

დილა კი ისევ მზიანი, ნათელი და ბედნიერი გათენდა.

სულ ეს იყო, რაც უნდა მეამბნა.

რას არ ამბობენ საფრანგეთში: ძია ანტუანი ისე შორს გაფრინდა, რომ მზემდე მიაღწია და დაიწვაო. ზოგი იმასაც ამბობს, არაფერიც არ დამწვარა, ახლაც მიფრინავსო. ბევრი ელოდება, მალე დაბრუნდებაო.

თუ ვინმემ გითხრათ, აქ მოთხრობილი ამბავი ჭორიაო, არ დაუჯეროთ. ჰკითხეთ უფროსებს და გიჩვენებენ რუკაზე საფრანგეთს, ქვეყანას, სადაც დაიბადა და დავაჟკაცდა ძია ანტუანი. თუ უფრო მეტის გაგება მოგინდეთ, ბიბლიოთეკაში მიბრძანდით, ანტუან დე სენტ ეგზიუპერის წიგნი „პატარა უფლისწული“ მოითხოვეთ და წაიკითხეთ.

ეს წიგნია ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რომელიც ცისფერ ვარსკვლავზე გაფრენის წინ დაწერა და თქვენ დაგიტოვათ ძია ანტუანმა.

# გვალვაში

**გივი ჭიჭინაძე**

არც ბროლა წვიმის ხმა ესმის,
აღარც ცივწყაროს წანწკარი.
ინატრა სიოს ალერსიც:
„ნეტავ რაზე მყავს გამწყრალი?!“
გადაყვითლებულ იალალს
მზემ მტვრის ზეწარი დაჰხურა.
ის ცელქი სიო კი არა,
ხმას აღარა სცემს სამყურაც.
ყაყაჩო, ქონა და ღვიაც
სიცხისგან სულმთლად გამქრალან.
დამშრალ წყაროსთან პირღია
ხტის ჩიტი ბოლოქანქალა.
„ნუთუ ამ გვალვამ სუყველას
ჩემსავით ხელი დარია.
ცის ნამმაც ველარ უშველათ
და ისევ ავად არიან?!“
აღარვინ დარჩა იმედად,
ვილას გაანდოს სათქმელი.
ჩამოდნა, ჩამოილევენთა,
როგორც მბჟუტავი სანთელი.
უეცრად თითქოს მაღლიდან
ზარმა მწუხრისა დარეკა.
შეკრთა და თავი ჩაჰკიდა,
მიეყრდნო გამხმარ ნარ-ეკალს.
ზეცის დათმობა ეძნელა,
ან დასათმობი რა იყო!
თვალი მილულა ნელ-ნელა
და ძილ-ბურანმა წაიღო.





მხატვარი ნანა სულემანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანბანური

**ავთანდილ გურგენიძე**

ყური უგდეთ რას კითხულობს
აქეთ — რეზო, იქით — ვანო:
„— **აბგად-ევზათ...**
— **აბგად-ევზათ...**
**აბგად-ევზათ-იკალ-მანო!“**
ნანა კატას ეფერება,
ფანჯარასთან უდგამს ნახარშს:
— — **პაჟა-რასტა...**
**პაჟა-რასტა...**
**პაჟა-რასტა — უფქა-ღაყაშ!“**
შეხე, ავთომ ლურჯი ავტო
ცაცას ავტოს დააჯახა:
„— **ჩაცა-ძაწა...**
**ჩაცა-ძაწა...**
**ჩაცა-ძაწა — ჭახა-ჯაჰა!“..**
ამ ბგერებს და ამ ასოებს
დედის მადლი აფარია.
ეს ქართული სიცოცხლეა,
ეს ქართული ანბანია.
უფრო უნდა იფრთიანო,
უფრო უნდა იკამარო.
იდღეგრძელე,
იდღეგრძელე
**„აბგად-ევზათ — იკალ-მანო!..“**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ეს ბავშვები ახლა მეოთხეკლასელები არიან, მაგრამ ოქტომბრულ საქმიანობაში თავიანთი კვალი დატოვეს...**

ციცინო გამყრელიძე

## სალომე

...გაივლის შვიდი შემოდგომა, შვიდი ზამთარი, დადგება კიდევ ერთი მშვენიერი გაზაფხული და სალომე კაკაბლიშვილი თავის ამხანაგებთან ერთად, თავის ეზოში, თავისი ხელით ჩარგული კაკლების ჩრდილში იზეიმებს სკოლის დამთავრებას...

სალომემ თურმე „დილაში“ წაიკითხა წერილი „თუ დამრგავთ და გამახარებთ“, და კაკლის ხეების დარგვა გადაწყვიტა. ნერგები ეზოში ეგულებოდა და შეუდგა კიდეც საქმეს — დაიწყო ორმოების ამოღება ეზოს გადაღმა, მაგრამ ძალიან გაუძნელდა — „მიწა ძალიან მაგარი ამოსაღები იყო“... მამა დაეხმარა და სამი ხე დაარგვევინა.

რომ იცოდეთ როგორ შეჰხარის სალომე თავის სახელზე დარგულ კაკლებს, როგორ უვლის, „რომ ამაყები გაიზარდონ“...

სალომეს მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს. „ჩვენს სოფელში ბევრგან ნახავთ კაკლის ახალ ნარგავებს, რომლებსაც გარშემო შემოღობილი აქვს, რომ საქონელმა არ გააფუჭოს“...

ეს სოფელია დუშეთის რაიონის სოფელი მაღაროსკარი.

სალომე კი ამ სოფლის ბაჩანას სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეა.

* * *

გია აფციაურს და მზიური ჯავარაშვილს ბედმა არგუნა ახალი, დიდი საქვეყნო საქმის მონაწილენი გამხდარიყვნენ...

დიდი ხანი არ არის, რაც კახეთის მიწაზე, საგარეჯოს რაიონში დაიწყო გარეჯის უდაბნოს აღორძინება!

## რა არის უდაბნო?

უდაბნო — დავუკვირდეთ ამ სიტყვას! ქართულად დაბა დასახლებულ, განაშენიანებულ ადგილსა ჰქვია. გამოდის, რომ უდაბნო არის დაუსახლებელი, უკაცური, უშენობო, უსოფლო ადგილი. ჩვეულებრივ უდაბნო უწყლოა, უმცენარო. ასეთი იყო გარეჯის უდაბნოც ცოტა ხნის წინათ.

## უდაბნოს ისტორია

სულ, სულ დიდი ხნის, ათასწლეულების წინათ კი ამ ადგილებში თურმე ტყე იყო... ხოლო, სადაც ტყეა, იქ წყალიც არის, და სადაც წყალია, იქ უთუოდ არის სიცოცხლეც.

გავიდა ხანი და, ვინ იცის, რა მიზეზით, გარეჯის მრავალმთაზე ტყე მოისპო. მოისპო ტყე და გაქრა წყალი. წყალი გაქრა და აღიგავა სიცოცხლეც. აქაურობა გაუდაბნოვდა...

კიდევ გავიდა ხანი. აქ, შიშველი კლდის გამოქვაბულში დასახლდა ქრისტიანი ბერი, მამა დავითი თავის თანამოღვაწეებთან ერთად. თქმულებაა, რომ ისინი ბალახის ძირებით იკვებებოდნენ, მაგრამ უდაბნოს მცხუნვარე მზემ



მხატვარი მანანა მორჩილაძე



ბალახიც გაახმო და შიმშილით დაუძლურდნენ ბერები; უკიდურესი გაჭირვების დროს მათთან მოვიდა სამი ირემი ნუკრებით და ირმების რძე გახდა ბერების საზრდო... მერე მათ კლდეებში სენაკები და წვიმის წყლის მოსაგროვებელი აუზები გამოკვეთეს, მონასტრები ააშენეს... და გარეჯის უდაბნოში აღორძინდა სიცოცხლე...

მაგრამ საქართველოს მტრების შემოსევებმა თანდათან შეაფერხეს უდაბნოში გაჩაღებული საქმიანობა; იავარჰყვეს ხელმეორედ აყვავებული სიცოცხლე. და გარეჯა ისევ გაუკაცრიელდა...

## უდაბნოს აწმყო და მომავალი

და აი, ახლა, სულ ხუთიოდე წლის წინ დაიწყო გარეჯის უდაბნოს ხელახალი განაშენიანება. უდაბნოს ნასოფლარზე ახალი სოფელი იზრდება, მშვენდება. აქ ჩამოსახლებული ადამიანები გაიყვანენ სარწყავ არხს და წყალი კი სიცოცხლეს გაამრავლებს... აშრიალდება ტყე... აბიბინდება საძოვრები... დაისხამს ვაზი, დაიხუნძლება ბაღები... აი, სწორედ ამ საქმის მონაწილენი არიან ჩვენი გია და მზიური...

## გია

აფციაურები საგარეჯოს რაიონის სოფელ კოჭბაანიდან ჩამოსახლდნენ უდაბნოში. გიას მამა ავტოცისტერნაზე მუშაობს მძღოლად. და როცა ის ამ გაზაფხულზე მანქანით წყალს უსხამდა ახალდარგულ ნერგებს, გია თითქმის მუდამ მასთან იყო და ეხმარებოდა. ახლა არ იტყვით, რა ნერგები იყო ეს? არ გაგიკვირდეთ! გია აფციაურმაც თავისი წილი საქმე გააკეთა, როცა უდაბნოში საფუძველი ჩაეყარა ტყე-პარკს, როცა გაშენდა მეგობრობის ხეივანი და ახალგაზრდული სკვერი. გიას ამაგი არ დაიკარგება — აშრიალდება უდაბნოში მუხა და ცაცხვი, ფიჭვი, იფანი, კაკლის ხეები...

## მზიური

მზიურის მშობლები ამ სამი წლის წინ ჩამოვიდნენ უდაბნოში საინგილოდან, კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოდან; მამამისმა თან ჩამოიტანა და ოჯახის წევრთა დახმარებით თავის ეზოში დარგო ვაზის ნერგები. ამ შემოდგომაზე მზიურის ოჯახი მეორედ მოკრეფს ყურძენს... იხარა პირველმა ვაზმა განახლებულ უდაბნოში და პატარა მზიურის შრომამაც ურევია ამ დიდ სამომავლო საქმეში.

პირველი ვაზი... ეს იმას ნიშნავს, რომ უდაბნოს ექნება ყურძენი, ექნება ღვინო, ექნება მაღალი ჭერი და უხვი გული. ესე იგი უ დ ა ბ ნ ო აღარ იქნება უდაბნო!

იხარე ჭერო!





ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაყვალა

**ნანა ოქრუაშვილი**

პაწაწინა მაყვალაო,
მაყვალივით შავთვალაო,
გოგო არის ცქრიალაო,
სახლი დააწკრიალაო.





## ვარსკვლავები

**გიორგი შეთეკაური**

ვხედავ—
ცაში ვარსკვლავები
თითქოს ოქროს ჩიტებია,
ღამღამობით იელვებენ,
მიწას დააკვირდებიან,
თუმცა ჩანან პაწიები,
მაგრამ ვიცი, დიდებია,
რა ლამაზად კასკასებენ,
რა ლამაზად ბრწყინდებიან.
რომ ბინდდება,
ვუცქერ—გული
ველარ დამიმშვიდებია,
ინთებიან,
და არ ვიცი
ვისი ხელით ინთებიან?!



## გოგიტა

**ავთანდილ მეგრელიშვილი**

განა გზაზე სირბილით,
განა უქმად დგომითა?
ხუთოსანი გოგიტა,
გაოფლილა შრომითა...
ზვრიდან მოდის თოხითა.
წინ მოუძღვის ბებია.
მეზობლები გოგიტას
ტკბილად ესალმებიან.

## ავად არის ბებია

**ლილი ნუცუბიძე**

ავად არის ბებია—
წარამარა ცივდება,
თამუნია კუდრაჭა
მის ლოგინს არ სცილდება!

## კვალი

**უშანგ სახლთხუციშვილი**

(გათვლა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალი, კვალი,
ალი-კვალი,
ასი ყური,
ასი თვალი.
აქეთ დათვი წა-ბაჯ-ბაჯდეს,
იქით მგელი წა-ბარ-ბაცდეს.
იქით ტურა,
აქეთ მურა.
იქით ბელა,
აქეთ გედა.
დავიმალოთ ახლა ყველა!
შენ დარჩები მარტო-ხე-ლა.





## ა ნ დ აზ ა

კოდალავ, მუდამდღე აკაკუნებ, მაგრამ შენი აგებული სახლი ჯერ არავის უნახავსო.

მხატვარი ნანა სულემენაშვილი

# ორბიტალური სადგური „სალუტ 6“

ოთხი წელია, რაც ორბიტაზე მუშაობს კოსმოსური სადგური „სალუტ-6“, ამ სადგურზე კოსმოსური მივლინებით იყვნენ საბჭოთა და საერთაშორისო ეკიპაჟები. მათ მეცნიერებისათვის და ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის დიდად სასარგებლო საქმე გააკეთეს.

„სალუტ-6“ კოსმოსში ხანგრძლივი ყოფნისათვის არის გაშვებული. მისი სიგრძე, შეპირაპირებულ ხომალდთან ერთად, 29 მეტრია! კოსმონავტები ხომალდიდან შედიან გადასასვლელ ნაწილში, იქიდან კი კოსმოსურ სახლში — სამუშაო ოთახში გადადიან. იქ არის კოსმონავტების სამყოფი და ცენტრალური სამართავი პულტი. იქვე მოწყობილი კოსმონავტების სავარჯიშო ადგილი — თავისებური სტადიონი. კოსმონავტები ყოველდღიურად ვარჯიშობენ, რათა უწონადობის პირობებში კუნთებმა ძალა არ დაკარგოს. სამუშაო ნაწილში არის შენახული საკვებისა და წყლის მარაგი, დგას მაცივარი და საჭმლის გასაცხელებელი მოწყობილობა.

სადგური იატაკიდან ჭერამდე გაჭედილია სამეცნიერო აპარატურით. მათი მეშვეობით ტარდება მრავალნაირი ცდები. კოსმონავტები თვალს ადევნებენ ვარსკვლავებს, აკვირდებიან და ფოტოსურათებს უღებენ დედამიწას, გეოლოგებს ეხმარებიან სასარგებლო წიაღისეულის მიკვლევაში, მეთევზეებს კარნახობენ, სად უნდა ეძებონ თევზთა ქარავნები, მეხანძრეებს უთითებენ, რომელ ტყეში გაჩნდა ხანძარი და სხვ. კოსმოსიდან მშვენივრად შეიძლება ნათესების დათვალიერება, კარგად ჩანს ისიც, სად არის ჰაერი და წყალი გაბინძურებული. კოსმონავტები მეცნიერებს ეხმარებიან დიდმნიშვნელოვანი და რთული სამეცნიერო ამოცანების გადაჭრაში. ბევრი ისეთი რამ, რაც დედამიწაზე გაურკვეველია, კოსმოსში ამოიხსნება ხოლმე.





1. კოსმონავტი ილუმინატორიდან დასცქერის დედამიწას. 2. კოსმონავტი დგას ცენტრალურ სამართავ პულტთან. 3. ფოტოაპარატი. 4. სასმელი წყლის მარაგი. 5. ხომალდ „სოიუზიდან“ „სალუტში“ გადასვლა. 6 ხომალდ „სოიუზის“ ორბიტალური განყოფილება. 7. მზის ბატარეები. 8. დასაძინებელი ადგილი. 9. ვენტილატორი. 10. რეაქტიული ძრავები. 11. ანტენები, 12. დედამიწაზე დასაშვები ხომალდი „სოიუზი“. 13. „სალუტთან“ შეპირაპირებული კოსმოსური ხომალდი „სოიუზი“. 14. საკვების მარაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და მაინც ბრუნავს



ნიკოლოზ კოპერნიკი
1473–1543

დღეს ყოველმა მოსწავლემ იცის, რომ დედამიწა მზისა და საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნავს. ოდესღაც კი, არა თუ ბავშვებს, უფროსებსაც დედამიწა უძრავი ეგონათ. კიდევ მეტი, ჩვენს წინაპრებს ასე სწამდათ, დედამიწა სამ სპილოზეა დაყრდნობილი, ეს სპილოები უშველებელ კუს ადგანან ზურგზე, თვითონ კუ კი ოკეანეში ცურავს, ხოლო თუ დედამიწა უძრავია, ცხადია, ვარსკვლავები, მზე და მთვარე მოძრაობენ ჩვენს გარშემოო.

თითქმის ხუთასი წლის წინათ დიდმა პოლონელმა მეცნიერმა კოპერნიკმა ვარსკვლავებზე დაკვირვებისას აღმოაჩინა, რომ მზე კი არ ბრუნავს დედამიწის ირგვლივ, არამედ დედამიწა ბრუნავს მზისა და თავისი ღერძის გარშემო და მზეს ხან ერთ მხარეს მიუშვერს, ხან მეორეს; ამიტომ არის, დღე და ღამე რომ ენაცვლება ერთმანეთსო.

იმ დროს მთელი ძალაუფლება კათოლიკურ ეკლესიას ეპყრა ხელთ. როცა ეკლესია მიხვდა რომ პოლონელი მეცნიერის ახალი შეხედულება ხალხს წარმოდგენას უცვლიდა სამყაროს აგებუ-











ლების შესახებ, კოპერნიკის წიგნი აკრძალა. მას აგროვებდნენ და საჯაროდ წვავდნენ.

მაგრამ კოპერნიკის იდეებს სხვა ქვეყნებშიც ბევრი დამცველი და მიმდევარი გამოუჩნდა. ერთ-ერთი ასეთი მეცნიერი იყო იტალიელი ჯორდანო ბრუნო. ჭაბუკობაშივე დაიპყრო ჯორდანო ბრუნოს გონება კოპერნიკის წიგნმა. ბრუნომ შემდეგ დაამტკიცა, რომ სამყარო უსასრულოა და იქ ჩვენი მზის მაგვარი აუარებელი მზეებია.

ეკლესიის მსახურებმა რვა წელი ციხეში ამყოფეს ბრუნო — ასეთი სისულელე როგორ თქვიო. მეცნიერს მოსთხოვეს, საჯაროდ გადაეთქვა თავისი მოსაზრება, მაგრამ გულადი მეცნიერი თავისაზე იდგა. მაშინ მას კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. როცა ბრუნომ ეს მოისმინა, მსაჯულებს მიახალა:

—ამ განაჩენისა თქვენ უფრო გეშინიათ, ვიდრე მეო.

ორმოცდაათი წლის შემდეგ დიდმა მათემატიკოსმა და ფიზიკოსმა გალილეო გალილეიმ გააკეთა მსოფლიოში პირველი ტელესკოპი, რომლითაც გაცილებით უფრო ახლოდან შეიძლებო-






ეროვნული ბიბლიოთეკა




გალილეის ტელესკოპი



და ვარსკვლავების და მთელი ციური სამყაროს დანახვა.

გალილეიმ დაამტკიცა, რომ მთვარე სულაც არ არის ბრტყელი დისკო, რომ იგი მრგვალია და ზედ, ისევე, როგორც დედამიწაზე, უსწორმასწორო ადგილები და მთებია (ეს შეხედულება კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დადასტურდა, როცა ამერიკელი კოსმონავტები გადასხდნენ მთვარეზე). გალილეის ტელესკოპმა ბევრად გააადვილა ვარსკვლავებზე და მთვარეზე დაკვირვება.

გალილეის სიკვდილით დაემუქრნენ. სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინა, მან ეკლესიის მსახურთ განუცხადა: უარვყოფ ჩემს აღმოჩენებსო. მართალია, იგი სიკვდილით არ დასაჯეს, მაგრამ ციხეში მაინც ჩასვეს და შემდეგ სულ მუდამ უთვალთვალებდნენ. ამბობენ, როცა გალილეი კვდებოდა, წამოიძახაო: „და მაინც ბრუნავს!“

როცა კოპერნიკის, ბრუნოსა და გალილეის ცხოვრებას ვეცნობით, ვრწმუნდებით, რომ ნიჭისა და უზარმაზარი ფიზიკური ძალ-ღონის გარდა, მეცნიერს დიდი სიმტკიცე და გამბედაობაც უნდა ჰქონდეს.






სულხან-საბა ორბელიანმა თავის საწელგანთქმულ იგავ-არაკების წიგნს „სიბრძნე სიცრუისა“ უწოდა. ეს საოცრად მოხდენილი სახელწოდება გვაუწყებს, რომ ამ წიგნში მოთხრობილი ამბები გამოგონილია, ესე იგი სიცრუეა, მაგრამ მათი საშუალებით ნათქვამია ჭკვიანური სიტყვა — სიბრძნე.

„დილა“ კვლავაც დაბეჭდავს როგორც ქართულ, ისე სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა ზღაპრებსა და იგავ-არაკებს, სადაც მრავალსაუკუნოვანი ხალხური სიბრძნეა ამეტყველებული. ოღონდ, ეს ზღაპრები და იგავ-არაკები ამიერიდან გაერთიანებული იქნება საერთო სათაურით — „სიბრძნე სიცრუისა“.

# ორი ძუნწი

**ქართული ხალხური ზღაპარი**

ერთი სოფლელი კაცი იყო, ისეთი წუწურაქი, მუჭში ცვარი არ გაუვიდოდა. ერთ დღეს გადაწყვიტა: მოდი ქალაქში წავალ, იქ ერთ ცნობილ ძუნწს ვისმეს მივებარები და უფრო გავიწაფებიო;

დაადგა კაცი გზას, ჩავიდა ქალაქში და მიადგა ძუნწს.

— გავიგე, რომ შენ პირველი ძუნწი ყოფილხარ, მინდა ცოტა ხანს შენთან დავრჩე, ძუნწობა ეგება მეც მასწავლოო, — შეეხვეწა სოფლელი.

— კეთილი და პატიოსანი. ჯერ დავსხდეთ, ვისაუბროთ, ერთმანეთი გავიცნოთ და ძუნწობაზე მერე ვილაპარაკოთო — შემოიპატიჟა ქალაქელმა ძუნწმა და სკამი მიართვა, დაჯექიო.

— არა, გმადლობთ, ფეხზე დგომა მირჩევნია, რომ დავჯდე, ხომ შარვალი გამიცვდება, — უარზე დადგა სოფლელი ძუნწი.

ისაუბრეს და, როცა დაბინდდა, ქალაქელმა სოფლელს უთხრა:

— აღარაფერი ჩანს. მოდი ლამპა ავანთოთ. ჰო, მართლა, დღეს ასანთის ყიდვა დამავიწყდა, შენ ხომ არ გექნება ჯიბეშიო.

— კი, მაქვს, ახლავეო. — ამოიღო სოფლელმა ჯიბიდან ასანთი, ამოაძრო ღერი, შუაზე გახლიჩა, ნახევარი ღერი ისევ კოლოფში ჩადო. ნახევრით ლამპას მოუკიდა.

ამასობაში ქალაქელმა ძუნწმა ფანჯარაში გაიხედა, იმ წამსვე ქვანაკრავივით შემოტრიალდა და სოფლელს უთხრა:

— ოჰ, არა, არა, ადრე მოგვივიდა, ჯერ კიდევ სინათლეა, ჩავაქროთ ლამპა. კარგად რომ ჩამობნელდება, მაშინ ავანთოთ, ნავთს მუქთად კი არ იძლევიანო.

— კარგი, — დაეთანხმა სოფლელი ძუნწი, თან გულში გაეხარდა: ახლა მაინც დავჯდებიო.

ჩაქრა თუ არა ლამპა, სოფლელმა ძუნწმა მაშინვე ტანისამოსი გაიხადა და დედიშობილა დაჯდა სკამზე, — ბნელა, ვერც ქალაქელი დამინახავს, კიდეც დავჯდები და არც შარვალი გამიცვდებაო.

სხედან ბნელაში, ლაპარაკობენ. დაწოლის წინ აანთო ქალაქელმა ლამპა და რას ხედავს: სოფლელ ძუნწს ტანთ გაუხდია და შიშველი არ ზის სკამზე!

— ადე, აქედან მოუსვი. მე რა უნდა გასწავლო, შენნაირი ძუნწი ალბათ ქვეყნად მეორე არ დაიარებაო, — შეუტია ქალაქელმა.

სოფლელმა ქალამნები მხარზე გადაიკიდა, შორს მივდივარ, გამიცვდებაო, და საშინელ თოვლ-ჭყაპში ფეხშიშველი გაუდგა გზას.

ჩაწერა **გ. შეთეკაურმა**



მხატვარი **ზაურ დეისაძე**



# მზე ყველას — ეყოფა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი.

დიდ, უდაბურ ტყეში, სადაც მზის სხივები იშვიათად აღწევდა, ცხოვრობდა პატარა დათვის ბელი. ტყე უმზეობისაგან მუდამ გრილი იყო, ნესტიანი, და დათვის ბელს სულ სციოდა, დატანტალებდა ტყეში და საცოდავად ბურდღუნებდა — ვაი, რა მცივა, ვაი რა მცივაო.

გაიგონა მისი ხმა ასწლოვანმა მუხამ, შეეცოდა დათუნია, კენწეროები გასწი-გამოსწია და მზის სხივებს გზა მისცა.

გახარებული ბელი მწვანე მოლზე წამოკოტრიალდა, ნამისაგან დასველებული მუცელი და თათები მზეს მიუშვირა, კარგად გათბა და გახალისდა.

მეორე დღესაც იძუნძულა ბელმა ტყე-ტყე, ისევ გაილუმპა ნამით, ისევ მუხასთან მიირბინა და აბურდღუნდა — ვაი, რა მცივა, ვაი რა მცივაო.

მუხა გულკეთილი გახლდათ, ტოტები ისევ გასწი-გამოსწია და მზე გამოაჩინა.

ამის შემდეგ დათვის ბელი მუდამ მუხის ძირში თბებოდა.

ერთხელაც მუხასთან ასეთი [illegible] დახვდა: მზის სხივებით განათებულ მოლზე, სადაც თვითონ კოტრიალობდა ხოლმე, თაგვებს, ციყვებსა და კურდღლებს თხილბურთი გაემართათ. ლამის ჯავრმა გაგუდა, თათები მკერდზე აიბაგუნა და დაიღრიალა:

— ვინ მოგცათ ნება, ჩემს მზეს რომ დაპატრონებიხართ, დამეკარგეთ აქედან, თორემ სათითაოდ გოგრის ფოთოლივით გაგაბრტყელებთო.

შეშინდნენ თხილბურთელები — გულგახეთქილი ციყვები ხეზე აცვივდნენ. თაგვებმა სოროებში წაყვეს თავი, კურდღლები წვრილიანში გაუჩინარდნენ.

დარჩა ბურთი და მოედანი დათვის ბელს. წამოკოტრიალდა მწვანე მოლზე გასათბობად, მაგრამ არ დასცალდა ნებივრობა, მუხის კენწეროები ერთმანეთს ჩაეხლართნენ და მზის სხივებიც შეწყდა.

დათვის ბელი კი ელოდა, ან ახლა ჩამომიჭყიტინებს მზე ან ახლაო, მაგრამ გაგიგონიათ?

— რომ არ ვტირი, მუხა იმიტომ არ უშვებს ჩემსკენ მზის სითბოსო, — გაიფიქრა ბელმა და საბრალოდ აწუწუნდა, ვაი, რა მცივა, ვაი რა მცივაო.

— გცივა და ახიც არის შენზე, — დაიწრიპინა მუხის ტოტზე წამოსკუპებულმა ციყვმა, — მოლზე ჩვენც რომ გავმთბარიყავით და გვეთამაშა, რა დაგაკლდებოდა, მზის სითბო ხომ ყველას გვეყოფოდაო.

მიხვდა დათვის ბელი, რატომ აღარ უშვებდა მუხა მისკენ მზის სხივებს, დაირცხვინა, ყურები ჩამოყარა.

ამ დროს სოროდან ერთმა წრუწუნამ ამოსძახა, — რას მოგიწყენია, მოდი, მოლზე ყველამ ერთად ვითამაშოთ და მუხა შეგირიგდებაო!

—მართლა? — გაუხარდა დათვის ბელს და აღრიალდა: — ჰეი, ჰეი, თაგუნებო, კურდღლებო, ციყვებო, მოდით, ერთად ვითამაშოთ, მზე ყველას გვეყოფა.

ეს თქვა და ტყეც ახმაურდა, ხის ტოტებიდან პარაშუტებივით დაეშვნენ მოლზე ციყვები, წვრილიანიდან ყურების პანტურით გამოხტნენ კურდღლები, სოროებიდან წრიპინ-წრიპინით გამოცუნცულდნენ თაგუნები, და სათამაშო თხილიც გაგორდა.

ამ დროს ტყის ცელქმა ნიავმა დაუბერა... შეიშრიალეს მუხის ტოტებმა. მწვანე მოლზე ოქროს ჩანჩქერივით ჩამოიშალა მზის სხივები და ირგვლივ საამური სითბო გადგა.

— მზე ყველას ეყოფა! მზე ყველას ეყოფა! — ხმაურობდა ტყე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასფურცელა



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

## შეცდომის გასწორება

„დილის" მე-8 ნომრის „ასფურცელაში" დაბეჭდილი გამოცანებიდან მეხუთე გამოცანა უნდა წაიკითხოთ ასე:
„ჩემი სახელის სათქმელად
ორი მარცვალი კმარაო" და შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის

გამოცემის 54-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

ყდაზე ნახატი ედ. ამბოკაძისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური გოგიაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, ზურაბ ლეჟავაშვილი (პ/მგ მდივანი), მანანა კობახიძე, ბელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე, მერი წიკლაური, გივი ჭიჭინაძე.

ტექრედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-41-30, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 27/VIII-81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/IX-81 წ., ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 168.000. შეკვ. №2022. „Дила" № 9. журнал для младшеклассников. на грузинском языке. Главный редактор М. Мачавариани. Тбилиси, ул. Ленина, 14.




დაინახეს მანქანა,
ზედ ეწერა „რძე“,
მიაზმუვლეს ხბოებმა:
— მეე... მეე... მეე..!

— აუ! რამოდენაა!—
ბიჭი იდგა მტრთხალი.
— ვახ, რა ციცქნა ყოფილა
ეს საწყალი ცხვარი!



გადატეხა ნერგი,
არვინ იყო იქ,
ძირიანად მოთხარა,
მერე... „შეძვრა“ შიგ.





გადმოხტომისას შეშინდა,
დააშოშმინეს ბავშვი,

მერე ჰოგრიტი მიართვეს,
და... გადაეშვა წყალში.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76055

ხ. 138/45